

PROVIDER^{GE}

HORECA | RETAIL | PRINT

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

პროვაიდერ.ჯი - Provider.ge

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2019 წელი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	4	2 410 411	2 060 277
სხვა შემოსავლები	5	8 351	11 428
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		71 100	165 286
მარაგის შეძენა		(1 932 294)	(1 746 202)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(260 569)	(218 317)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(61 304)	(36 766)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	6	(135 121)	(110 260)
საგადასახადო ხარჯი		(4 289)	(1 609)
სხვა ხარჯი	7	(40 964)	(13 692)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		55 322	110 145
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(2 559)	(899)
ფინანსური ხარჯი		(82 518)	(52 058)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(29 755)	57 188
მოგების გადასახადი		(5 739)	(3 414)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(35 493)	53 774

დირექტორი

სალომე კიკვაძე

მთ. ბუღალტერი

ნატო პავლიაშვილი

შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	742 390	114 982	132 520
არამატერიალური აქტივები	9	1 035	654	869
სულ გრძელვადიანი აქტივი		743 425	115 636	133 389
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	9	523 597	452 499	287 213
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	293 706	278 185	342 114
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	63 629	46 595	43 095
სულ მიმდინარე აქტივები		880 932	777 278	672 422
სულ აქტივები		1 624 357	892 914	805 811
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		151 794	19 645	14 140
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		(19 363)	47 083	13 187
სულ საკუთარი კაპიტალი		132 431	66 728	27 327
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	1 054 207	483 000	452 500
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 054 207	483 000	452 500
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	421 405	337 787	316 010
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	14	16 314	5 399	9 974
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		437 719	343 186	325 984
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 624 357	892 914	805 811

დირექტორი

სალომე კიკვაძე

მთ. ბუღალტერი

ნატო პავლიაშვილი

შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2017 წაშთი	14 140	13 187	27 327
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	5 505	-	5 505
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	53 774	53 774
გაცემული დივიდენდი		(19 878)	(19 878)
31.12.2018 წაშთი	19 645	47 083	66 728
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	132 148	-	132 148
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(35 493)	(35 493)
გაცემული დივიდენდი	-	(30 953)	(30 953)
31.12.2019 წაშთი	151 794	(19 363)	132 431

დირექტორი

სალომე კიკვაძე

მთ. ბუღალტერი

ნატო პავლიაშვილი

შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 793 593	2 427 702
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2 293 300)	(2 052 894)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(204 792)	(178 727)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	295 500	196 081
გადახდილი გადასახდები	(50 533)	(127 314)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	244 967	68 767
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	244 967	68 767
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(829 812)	(25 974)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	132 148	5 505
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(21 900)	(18 884)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(719 564)	(39 353)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	937 068	150 000
სესხის ძირის გადახდა	(365 861)	(119 500)
სესხის პროცენტის გადახდა	(74 605)	(55 058)
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(5 880)	(1 419)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	491 631	(25 914)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	17 034	3 500
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	46 595	43 095
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	63 629	46 595

დირექტორი

სალომე კიკვაძე

მთ. ბუღალტერი

ნატო პავლიაშვილი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პროვაიდერ.ჯი - Provider.ge ს.ნ 445427119, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც - რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 12.06.2013 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, ი. ნონეშვილის ქ, 60, ბ. 27, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ერისთავის პირველი ჩიხი #5. საწარმოს დაფუძნებულები არიან:

1. გიორგი ცენტერაძე პ.ნ. 61002020806, წილი საწესდებო კაპიტალში 50%
2. ლაშა მამაძია პ.ნ. 61003009406, წილი საწესდებო კაპიტალში 50%

საწარმოს საქმიანობაა, დისტრიბუცია და საცალო ვაჭრობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-5 %
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-20-30%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო

ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.6. აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურები ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალ-

კვებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

თუ საწარმო დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა იგი, საწარმო ამ აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსურ აქტივთა ჯგუფს და ერთად ამოწმებს მათ გაუფასურებას. პორტფელის გაუფასურების ობიექტურ ნიშანი შეიძლება იყოს წარსულის მონაცემები დაფარვასთან დაკავშირებით, დაფარვის საშუალო ვადის გადაცილება, რომელიც საწარმოს მიერაა დადგენილი, ასევე საგრძნობი ცვლილება ეკონომიკაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნების დაფარვაზე. მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის განსაზღვრა. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.7. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	შემოსავალი რეალიზაციიდან	2 427 336	2 083 955
2	გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(16 924)	(23 678)
	ჯამი:	2 410 411	2 060 277

5. სხვა შემოსავალი

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	დამრგვალების შემოსავალი	3	5
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	9 823
3	შემოსავალი კრედიტორული დავალიანებიდან	-	50
4	საქონლის არასაოპერაციო შემოსავლიდან	8 348	1 551
	ჯამი:	8 351	11 428

6. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	მომსახურებასან დაკავშირებული ხარჯი	495	-
2	საიჯარო ქირა	72 849	78 828
3	კომუნიკაციის ხარჯები	7 610	6 643
4	კომუნალური ხარჯები	1 191	1 594
5	დაზღვევა	3 908	4 270
6	სამივლინებო ხარჯები	250	890
7	რემონტი	3 256	843
8	საკონსულტაციო ხარჯები	9 600	-
9	საბანკო მომსახურება	9 865	3 408
10	სხვა მომსახურება	26 099	13 783
	ჯამი:	135 121	110 260

7. სხვა ხარჯები

(ლარი)

დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1 უსასყიდლო მიწოდების ხარჯები	1 565	2 110
2 საექვო მოთხოვნების რეზერვი	24 102	
3 არასაგადასახადო ხარჯი	4 547	2 340
4 სხვა საერთო ხარჯი	2 354	832
5 დამრგვალების ხარჯი	1	1
6 არასაოპერაციო ხარჯი	8 252	7 188
7 ხარჯი დებიტორების ჩამოწერიდან	142	1 221
ჯამი:	40 964	13 692

8. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
1 შენობა-ნაგებობა	652 235	652 235		-
2 მანქანა დანადგარები	45 361	8 397		36 964
3 ოფისის აღჭურვილობა	52 234	6 314	877	46 797
4 ავეჯი და სხვა ინვენტარი	48 080	23 026	5 650	30 703
5 სატრანსპორტო საშუალებები	91 001	15 930	17 071	92 141
ჯამი:	888 911	705 903	23 597	206 606

ცვეთა	ნაშთი 31.12.2019	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2018
1 შენობა-ნაგებობა	24 353	24 353	-	-
2 მანქანა დანადგარები	16 865	5 447		11 418
3 ოფისის აღჭურვილობა	35 258	10 001	771	26 028
4 ავეჯი და სხვა ინვენტარი	18 861	5 763	3 114	16 212
5 სატრანსპორტო საშუალებები	51 183	15 376	2 158	37 965
ჯამი:	146 521	60 940	6 042	91 624
საბალანსო ღირებულება	742 390			114 982

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

9. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	შემდენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
1	ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	1 725	746	-	979
	ჯამი:	1 725	746	-	979

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2019	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2018
1	ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	690	364		325
	ჯამი:	690	364	-	325
	საბალანსო ღირებულება	1 035			654

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	სავაჭრო მოთხოვნები	254 519	231 466
2	მოთხოვნა პერსონალთან	36 322	46 601
3	გადახდილი ავანსები	2 724	0
4	მოთხოვნები ბანკის მიმართ	141	117
	ჯამი:	293 706	278 185

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	ფული საბანკო ანგარიშზე	33 542	40 091
2	ნაღდი ფული სალაროში	30 087	6 504
	ჯამი:	63 629	46 595

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	გრძელვადიანი სესხი ფიზიკური პირიდან	50 000	50 000
2	გრძელვადიანი სესხი საბანკო დაწესებულებიდან	1 004 207	433 000
	ჯამი:	1 054 207	483 000

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	სავაჭრო ვალდებულებები	384 560	316 833
2	სახელფასო ვალდებულება პერსონალთან	4 293	2 600
3	სხვა ვალდებულება პერსონალთან	12 947	4 143
4	გადასახდელი პროცენტები	19 605	14 210
	ჯამი:	421 405	337 787

14. საგადასახდო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	მოგების გადასახადი	565	464
2	საშემოსავლო გადასახადი	1 695	1 093
3	დამატებული ღირებულების გადასახადი	(2 332)	(8 889)
4	ქონების გადასახადი	3 052	(7)
5	საპენსიო გადასახადი	2 625	-
6	ერთიანი სახაზინო ანგარიში	10 709	12 738
	ჯამი:	16 314	5 399

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:

სალომე კიკვაძე

მთ. ბუღალტერი:

ნატო პავლიაშვილი

შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	4	2 410 411	2 060 277
სხვა შემოსავლები	5	8 351	11 428
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		71 100	165 286
მარაგის შემენა		(1 932 294)	(1 746 202)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(260 569)	(218 317)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(61 304)	(36 766)
შემენილი მომსახურების ხარჯი	6	(135 121)	(110 260)
საგადასახადო ხარჯი		(4 289)	(1 609)
სხვა ხარჯი	7	(40 964)	(13 692)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		55 322	110 145
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(2 559)	(899)
ფინანსური ხარჯი		(82 518)	(52 058)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(29 755)	57 188
მოგების გადასახადი		(5 739)	(3 414)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(35 493)	53 774

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



სალომე კიკვაძე

ნატო პავლიაშვილი

შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები 8	742 390	114 982	132 520
არამატერიალური აქტივები 9	1 035	654	869
სულ გრძელვადიანი აქტივი	743 425	115 636	133 389
მიმდინარე აქტივები			
მარაგი 9	523 597	452 499	287 213
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები 10	293 706	278 185	342 114
ფულადი სახსრები და ექვივალენტები 11	63 629	46 595	43 095
სულ მიმდინარე აქტივები	880 932	777 278	672 422
სულ აქტივები	1 624 357	892 914	805 811
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	151 794	19 645	14 140
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(19 363)	47 083	13 187
სულ საკუთარი კაპიტალი	132 431	66 728	27 327
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 12	1 054 207	483 000	452 500
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1 054 207	483 000	452 500
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 13	421 405	337 787	316 010
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები 14	16 314	5 399	9 974
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	437 719	343 186	325 984
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 624 357	892 914	805 811

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



სალომე კიკვაძე

ნატო პავლიაშვილი

შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2017 წაშთი	14 140	13 187	27 327
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	5 505	-	5 505
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	53 774	53 774
გაცემული დივიდენდი		(19 878)	(19 878)
31.12.2018 წაშთი	19 645	47 083	66 728
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	132 148	-	132 148
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(35 493)	(35 493)
გაცემული დივიდენდი	-	(30 953)	(30 953)
31.12.2019 წაშთი	151 794	(19 363)	132 431

დირექტორი

სალომე კიკვაძე

მთ. ბუღალტერი

ნატო პავლიაშვილი



შპს პროვაიდერ.ჯი-Provider.ge

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 793 593	2 427 702
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2 293 300)	(2 052 894)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(204 792)	(178 727)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	295 500	196 081
გადახდილი გადასახდები	(50 533)	(127 314)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	244 967	68 767
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	244 967	68 767
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(829 812)	(25 974)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	132 148	5 505
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(21 900)	(18 884)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(719 564)	(39 353)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	937 068	150 000
სესხის ძირის გადახდა	(365 861)	(119 500)
სესხის პროცენტის გადახდა	(74 605)	(55 058)
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(5 880)	(1 419)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	491 631	(25 914)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	17 034	3 500
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	46 595	43 095
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	63 629	46 595

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

სალომე კიკვაძე

ნატო პავლიაშვილი

